მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | ტფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

შიო ჩიტაძის გარდაცვალების გამო მის და პა-
ტივსაცემად ხვალინდელი ნომერი „მუშისა" არ
გამოვა.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილ. 10 ს. 2—ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 26 შაბათი, 8 ივლისი 1906 წ. თბილისი № 26

რედაქცია „მუშისა" და „ნობათისა" თავის თანამშრომლე-
ბით დიდის მწუხარებით აუწყებენ მკითხველებს და მეგობ-
რებს, ტრაგიკულად მოკლულ პედაგოგის და პუბლიცისტის

## შიო ალექსის-ძის ჩიტაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს დილის 10 საათზე,
კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე, პანაშვიდები დღეს
დილით 12 ს. საღამოს 7 ს. ექ-მ მუსხელიშვილის სახლში სა-
დაც მიცვალებული ასვენია. კიროჩ. ქ. № 9 სახ. სვანიშვილისა.

---

გაზ „მუშის" და „ნობათის" **მუშები** საერთოდ გულითადის
მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ხალხისთვის თავ-დადებულ
მებრძოლის ქართულ გიმნაზიის ინსპექტორის.

## შიო ალექსის-ძე ჩიტაძის

გარდაცვალებას, რომელიც ტრაგიკულათ მოკლულ იქნა
თავის ბინაზე სამშაბათს 7 ივლ. დაკრძალვა დილის 10 ს-ზე.

---

გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ტფი-
ლისის ქართულ გიმნაზიის ახლად კურს დამთავრებული მო-
წაფეები ტრაგიკულად მოკლას ვერაგების ხელით ძვირფასის
და დაუვიწყარის მასწავლებლის და ინსპექტორის

## შიო ალექსის-ძის ჩიტაძის.

---

ტფილისის ქართულ გიმნაზიის მოწაფენი გულითადის მწუხარე-
ბით აუწყებენ საზოგადოებას ტრაგიკულათ მოკლულ ძვირფასის
მასწავლებლის და ინსპექტორის

## შიო ალექსის ძეს ჩიტაძის

გარდაცვალებას.

---

ვუმეორებთ ჩვენ აგენტებს პრო-
ვინციებში, რომ დაუყოვნებ-
ლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინა-
ნდელი ნომრებისა და დროზე მო-
გვაწველონ მისი ხვედრი ფული, წი-
ნააღმდეგ შემთხვევაში იძულებული
ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გა-
ზეთის გზავნა.

---

## ვთხოვთ

ფოსტით ხელის
მომწერლებს (თბილისში და თბილისს
გარეთ) შემოიტანონ ხვედრი ფული,
წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებუ-
ლი ვიქნებით შევაჩეროთ გაზეთის
გზავნა.

---

**ქართული წარმოდგენა**

ფუნიკულერზე.

**ვინც წარმოდგენის ბილეთს იყი-
დის, იმას უფასოდ აიყვანენ და
ჩამოიყვანენ ფუნიკულერით.**

ქართულ დრამატიულ დასის მიერ
ახლად გამართულ სცენაზე წარმოდგე-
ნილი იქნება

**კვირას, 9 ივლისს**

მე მინდა კნეინა გავხდე!

კომ. 2 მოქ. ანტონოვისა

## დივერტისმენტი

მონაწილეობას ღებულობენ: გა-
ბუნია-ცაგარლისა, ივანიძე, კიკნაძე.
ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, ნ. ერისთავი,
იმედაშვილი, საფაროვა და სხ.

**წარმოდგენა დაიწყება 7-ნახევარ
საათზე, გათავდება 10-ზე.**

**დაუკრავს გურულების ორკესტრი.**

**ადგილების ფასი ფინიკულერზე
ასვლა-ჩამოსვლით 40 კ დან 1 მ.**
50 კ—მდე.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება
1) წერა-კითხვ. წიგნის მაღაზიაში
2) „პროგრესის" მაღაზიაში ბულ-
ვარზე და 3) გიორგი ქორქაძესთან,
სიონის ქუჩაზე, ხოლო წარმოდგე-
ნის დღეს ფუნიკულერის კასასთან.

**ს ჰმელ-სასმელების ფასი ერთი-
ორად დაკლებულია.**

წარმოდგენის გამგენი ვ. აბაშიძე
და ვ. გუნია.

---

**ქ. ბ ა თ უ მ შ ი.**

კვირას, **9** ივლისს

**ქართული „ახალი დრამის" ამხა-
ნაგობის მიერ წარმოდგენილი იქ
ნება პირველად ახალი პიესა**

თ. კ. ლ. ერისთავისა.

I

## კესარია ბატონიშვილი

II

## რაც არ გერგება არ შე-გერგება.

კომ 1 მ. ვ. გუნიასი

ტანისამოსი ამ წარმოდგენისათვის
დაბარებულია თბილისიდან

მონაწილეობენ ქ.ქ. მ. მდივანი,
ნ. ჯავახიშვილისა. ბ ბ. ზაქრაძე,
გვარამაძე, დადიანი, მამრაძე, ურუ-
შაძე, შალიკაშვილი და სხვ

დასაწყისი 9 საათზე

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

ადმინისტრატორი გ. ურუშაძე

რეჟისსორი **შ. დადიანი.**

---

შაბათის ქართული წარმოდგენა
„ფუნიკულერზე"

## გ ა დ ა ი დ ო

საკვირაოდ შიო ჩიტაძის და-
საფლავების გამო.

---

**უკანასკნელი ციხე, უკანასკნელი
კოშკი და მშვენიერების სიკვდი-
ლი თავის თავის დანახვათ.**

У Лукоморія дубъ зеленный,
золотая цѣпь на дубѣ томъ,
и днемъ и ночью Котъ ученный
Все ходить на цѣпи кругомъ.

ირღვევა უკანასკნელი ციხე მთა-
ვრობის და გაუმაძღარ ბურჟუაზი-
ულ წურბლებისა. მოვიდა მოძრაო-
ბაში სალდათები, რომლების შტი-
კებზე დამყარებული იყო „წესიე-
რება".

მაგრამ ცოტ-ცოტა ეცლება ხიშ-
ტის საფუძველი თავდავიწყებულ
მთავრობას და ბურჟუაზიას თან
თან მოედო და ჩაითრია რევოლი-
უციის მსვლელობამ საზოგადოების
უფრო ვრცელი წრეები. ბოლოს
საქმე იმდენათ წინ წავიდა, რომ
საომარი პატრონების უხვად მხარ-
ჯავებს თან და თან აკლდებათ „მო-
მხმარებელნი" და პატრონებიც უარს
ეუბნებიან და წინ გასროლის მაგი-
ერ უკან ვარდებიან. შეატყეს, რომ
საქმე ამ მხრით ცუდათ მიდიოდა
დაინახეს, რომ **„პირდაპირი მოქმე-
დებ"** რევოლუციაზე, მათი სახმა-
რი იარაღი არ იყო, რადგან გამო-
ცდილებამ დაანახვა, რომ მთავრო-
ბის ტაქტიკა—პირდაპირი მოქმედე-
ბა რევოლიუციაზე და ანარქისტუ-
ლი ტაქტიკა „პირდაპირი მოქმედე-
ბა" რეაქციაზე ერთი და იგივე არ-
ყო. მიხვდნენ როგორც იყო, რომ
ანარქისტული ტაქტიკა — პირდაპი-
რი მოქმედება" მხოლოდ ანარქის-
ტულია, არა მთავრობითი და მხო-
ლოდ ხალხის ხელშია უძლეველი
იარაღი თავისუფლების დასამყარებ-
ლად, მაგრამ ბევრჯერ კიდევ იყო
მიმხვდარა, რომ თუ ეს ანარქის-
ტული იარაღი, გამოსადეგი მხო-
ლოდ თავისუფლებისთვის მებრძო-
ლთა ხელში დაიქ- რა...
პარტიამ, რომელიც გამომხატველი
მთავრობად უნდა გახდეს...

თვით ეს მომავალი მტარვალობა გახდება მისგან მითვისებული სხვისი იარაღის მსხვერპლი.

დაატყო მთავრობამ, რომ შეიარაღებულმა რეაქციამ, შეირაღებული რევოლიუცია გამოიწვია; დაატყო, რომ თავისუფლების მოსაპოვებელი იარაღი—რევოლიუცია—უფრო სწრაფლად იზრდება ვინემ მონობის დამამყარეებელი იარაღი—რეაქცია, მთავრობამ აი ამ კრიტიკულ მდგომარეობაში მიმართა ხერხს, რადგან ძალამ უმტყუნა.

დაარსა კლუბი და თქვა „დუმა“. ხმა გაავრცელა „დუმას“ და პარლამენტის ნათესაობაზე და მიაღწია კიდეც ამ მიზანს, რადგან ეს ორი მახინჯები ვერ ჰგვანან ერთმანეთს.

და აი ამ „დუმის“ სახელით მონათლულ კლუბში დაუწყო კარტის თამაში ხალხს. რადგან კარტის სათამაშო დარბაზში—„დუმაში“ მთელი რუსეთის ხალხი ვერ შეეხეტვოდა და ვერ მოახერხებდა კარტის თამაშს, ამიტომ ხალხს მისცა წინადადება ამოერჩიათ წარმომადგენელი. იმ იმედით, რომ ხალხის წარმომადგენელი ისევ იქნებოდენ ძველი ან ახალი მეგობრები მთავრობის, რის გამო მთავრობა გულდამშვიდებით იყო და არის თავის პოლიტიკურ შულერის კარიერის თაობაზე.

რევოლიუცია და რეაქცია შეიარაღებული დაეტაკნენ ერთმანეთს რევოლიუციამ იზარალა ბრძოლაში და დამარცხდა გარეგნულად; მისმა ძალებმა დამარცხების შემდეგ კლების მაგიერ იმატეს. მთავრობა ფორმალურად გამარჯვებულია, მაკრამ მისი გამარჯვება პიროსის გამარჯვებას ჰგავს: მისმა ძალებმა გამარჯვების შემდეგ კლეს; მთელი მისი ძალები თითქმის პირველმა გამარჯვებამ ჩაყლაპა; მეორე და მესამე გამარჯვებაზე იმედი მოესპო

და აი დაუწყო კარტის თამაში ხალხს იმედით, რომა იქნებ რამოდენიმე მონობის წელიწადი ვალად დაადვას ხალხს.

როგორც ჩანს კარტის თამაშში მთავრობა უფრო დახელოვნებულია. მისი მიზანი, რომელიც შესდგებოდა „რევოლიუცის იარაღის აყრაში“ მოახერხა, როგორც იყო, „დუმის“ მეთოდით, მაგრამ გავიდა რამოდენიმე დრო და ამასთანავე ეს მეთოდიც თანდათან გამოდის ხმარებისაგან. ამიტომ მთავრობა ეხლა სესხულობს კადეტებისაგან une methode cadette pour desarmer la revolution.

აი ეს კადეტური მეთოდი „რევოლიუციის იარაღის აყრის“ ის უკანასკნელი კოზირი, რომელზედაც ამყარებენ კარიერას „პოლიტიკური ლიდერები“.

ერთი მხრით კადეტები ცდილობენ ქვეყნის დაწყნარებას ისე, რომ თანახმა დარჩნენ თავიანთი შინაგანი არსებობის“ ე. ი. თავიანთ პოლიტიკური სინიდისის, რომელიც წარმოადგენს: dura lex, sed lex, წინააღმდეგ რევოლიუციონიზმისა, ე. ი. მკაცრი კანონი, მაგრამ მაინც კანონი; კანონი და რევოლიუცია კი ისე არიან შეთვისებული როგორც ძაღლი და ძაღლის გასალახავი ჯოხი.

კადეტები რასაკვირველია „დაწყნარებას“ ისე არ ფიქრობენ, როგორც ძველი მთავრობა. მათი აზრით მათი მეთოდი უფრო რთულია ვიდრე ძველი მთავრობის სადე მეთოდი, ის უფრო განსაკუთრებულად „ადვოკატურია“, მაგრამ, ეს მეთოდი არ გამოდგება რევოლიუციის დამწყნარებელი ამიტომ ისინი იძულებული იქმნებიან მიმართონ „პირდაპირ დამშვიდებას“. ამგვარად კადეტები თვით შე იქნებიან თავის თავის დოსტაქრები, ქირურგები და ჰამოკუჰავენ თავიანთ „შინაგან არსებითობას“. ეს უკანასნელი კოზირიც გაუცუდებათ.

ტრეპოვი ამბობს, რომ კავშირი „მშრომელთა ჯგუფის“ და კადეტებს შორის დაირღვევა მხოლოდ მაშინ, როდესაც კადეტები მოწვეული იქნებიან მინისტრებად.

რას ამბობენ ან ფიქრობენ კადეტები? სწორედ ამასვე რასაც ტრეპოვი. მათი აზრი დაახლოვებით შემდეგია: კადეტების ამოცანა შესდგება არა შეიარაღებული ხელით რევოლიუციის წინააღმდეგ, მოქმედება არამედ რევოლიუციონეერბის ჩათრევა პარლამენტარულ კარტის თამაშში და პოლიტიკურად მათი გაგლეჯა.

როგორც იყო იპოვნეს ერთმანერთი: ტრეპოვმა და კადეტებმა, მაგრამ, მაგიერად კადეტები თავის მშვენიერ თავის პიენასთან ერთად თავისი სიკვდილსაც იპოვნიან.

როდესაც კადეტები დაიჭერენ ალვირს ხელში, შეაჯდებიან ხალხს ზურგზე, მაშინ ისინი გადმოალაგებენ თავიანთ „შინაგან არსებითობას“, რომლის შემდეგაც კადეტების როლი რუსეთის მიმდინარე რევოლიუციაში შემდეგისთვის ერთხელ და სამუდამოთ გადაწყვეტილი იქნება. ისინი „პოლიტიკურ უფლობის ხელში ჩაგდების“ შემდეგ მოკვდებიან პოლიტიკურად, რევოლიუციონურად.

საბერძნეთის დიდმა ღმერთებმა გადაწყვიტეს, რომ მშვენიერმა ღმერთას ეცხოვრა, მანამ, სანამ თავის მშვენიერ სიშიშვლეს არ დაინახავდა. ერთ დღეს ნადირობის დროს მშვენიერი ღვთაება მიადგა უცებ მდინარის პირს, მაგრამ უცებ დაინახა თავისი მშვენიერი სახე, თუ არა მაშინვე სიცოცხლე დაჰკარგა და სიკვდილის შავ პარში ჩავარდა. კადეტები კი სიმშვენიერის მაგიერ თავის სიმახინჯეს დაინახვენ და წაიღებენ, როგორც პოლიტიკური პარტია, თავის. პოლიტიკური სიმახინჯის მახინჯ სურათს პოლიტიკური სიკვდილის სახიზღარ სამეუფო ალი.

## ახალი ამბავი

8 ივნისს დილის 10 საათ იქნება გამოსვენება ტრაგიკულ გარდაცვალებულის დაუვიწყარი მ ჩიტაძის გვამის სვანიშვილის ხლიდან კიროჩნი ქუჩაზე № საიდანაც წაასვენებენ კუკიის მ მადიდებელთ სასაფლაოზე.

— ივლისს საღამოს მთელი შკინის დახურულ ბაზარს შემოა ტყეს ჯარი, და პოლიცია და დარმები. გაჩხრიკეს ბევრი სახლ სხვათა შორის გაჩხრიკეს პ. მი რიმანიანის ფოტოტიპიაც, ამ ლში იპოვეს რამოდენიმე აკი გარული სურათი, ლია წერი და კარიკატურები. ფოტოტ მანქანა დაბეჭდეს სხვა სახ ვერა იპოვეს—რა.

— 6 ივლის საღამოს 10 საათ ალექსანდროვის ქუჩის ბოლოს, ალ ქსანდრე—ნეველის საყდრის ვიღაც უცნობმა ერთი მეორეზე

# ფელეტონი

—

### ინტერნაციონალის წინა მორბედნი.

(გაგრძელება).

მაგრამ ყველა ეს მშვენიერი მარტივები გამოდგენ ფშუტი, არაფერი არ მისცეს ხალხს პოლიტიკური მხრით და სრულებით არაფერი ეკონომიური და სოციალური მხრით. „თვითმპყრობელი„ ხალხის სახელით ჩამორთმეული თავად-აზნაურობის და ეკლესიის მამულები, გაყიდულ იქმნენ სახალხო ვაჭრობით და რასაკვირველია, რომ ღარიბებს, რევოლიუციონურ დიად მასსას კი არ უყიდია მათ მიერ მოპოვებული ქონება. აგრეთვე თუ მივიღებთ სახეში ნაციონალურ და კომმუნალურ მხედველობას: იმის მაგივრად, რომ შეექმნა დამოუკიდებელი და ავტონომიური ორგანიზაცია კომმუნალური ცხოვრებისა, ამის მაგიერ, რომ გამოეწვია ასსოციაციის და ხალხის თავოსნობის ლტოლვილება, კონვენტმა, რომელშიაც იაკობინელები ბატონობდნენ, აკრძალა ყველა კერძო ასსოციაცია, გაამლო გილიოტინა ფედერალისტების სისხლით და გამოაცხადა, რომ „რესპუბლიკა არის ერთი და განუყოფელი“, დაამყარა ის უმსგავსო სისტემა ცენტრალიზაციის, რომელმაც დამბლა დასცა ჩვენ დრომდიც-კი საზოგადო და გონებრივ სიცოცხლეს პროვინციებისას. ყველაფერი პარიზმა შეისუნთქა: ადმინისტრაცია, მეცნიერება, ლიტტერატურა. როდესაც გერმანიაში, შვეიცარიაში, ინგლისში დ სხვაგან კომმუნალური დ მუნიციპილური ცხოვრება მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ძალა და ბიუროკრატია ეჩხირებიან შით, მაშინ საფრანგეთში სამინისტროს და პრეფექტურებს სულელი, გაუმაძღარი, უთვალავი და ყოველადშემძლე ბიუროები მართავენ ქვეყნის ყველა საქმეს. როდესაც გერმანიაში ჰყავა 32 უნივერსიტეტი და თვითეულ პროვინციილურ ქალაქს აქვს მრავალი პრესსა, მაშინ საფრანგეთის უნივერსიტეტები მცენარეობდნენ მძინარა ცხოვრებით; ისეთი მდიდარი და დიდი ქალაქებს, როგორც მარსელს, ბორდოს, ლიონს, არ ჰქონდათ ისეთი გაზეთები, რომლების შედარება არ შეიძლებოდა, არა თუ ინგლისის პროვინციის, შვეიცარიის და გერმანიის ქალაქების გაზეთებთან, არამედ კიევის, ხარკოვისა და ოდესის გაზეთებთან რუსეთში. დიახ პარიზმა შთანთქა გონებრივი სიცოცხლე და მისი მინისტრების ბიუროშ მიითვისბ პროვინციების საზოგადოებივი ცხოვრების თაოსნობა.

ამ კიბოს წყალობით დამბლად ჩავარდნილა პოლიტიკური, საზოგადოებირივი და გონებრივი ცხოვრება ქვიყნის და, სულ ერთია რომელიც იქმნება, რომელიმე პოლიტიკურ ყაჩაღებს, დამნაშავეს, რომელიც მიაღწევს ძალას, შეუძლია მოეხდინა ძლიერ ადვილად პარიზში cnup d'Etat (სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება) და გამხდარიყო მთელი საფრანგეთის განუსაზღვრელი ბატონი. პირველ მოსულ უკეთურს, როგორც კონსულ ბონაპარტს მაგალითებრ დასჭირდა სულ ცოტა შრომა, რომ იაკობინელების სამკვიდრო ჩაეგდო ხელში, კიდევ ამაზე ნაკლები ნიჭი და მამა დასჭირდებათ 2 ,დეკემბრის გარეგ ავაზაკებს. ჩვენ დროშიაც კი სა რანგეთი ლამის განიცადოს მე (coup d'Ftat) სახელმწიფო ლება.. როგორც სჩანს ეს ზის, როშფორის, დრუმონის მათთა ძმათა ასსოციაცია, მიუ ვად იმისა რომ ბულანჟე არ ცდილობს დაამლოს საფრან მთავარ-შტაბის დიქტატურა, მთავარ-შტაბის, რომელმაც ისე თავის და ესტერგაზის ნებარ მიყიდა საბუთის ქაღალდები, დაცვის საიდუმლოება ქვე მტერებს. ამ გვარი ხარისხი 2 დეკემბრის ავაზაკებსაც ჰქონდათ, იმ ავაზაკებს, ლებმაც ქალების და ბავშ დახვრეტით, მასსიურად გა დააწყეს დაგაათავეს მეცით და ნით.

რა გაუპატიურებამდი მიიყ საფრანგეთს ყველა ეს ქიდადე რები? ძლიერ ძნელია ამის შე ბა წინასწარ. მაგრამ იმათ რომ ზანს მიაღწიონ არ არის საეჭო დგან ცენტრალიზაცია ყველა

ლე ა. ტამიროვის ღვინის სარდაფ-
ში 2 ყუმბარა, რომლებიც გასქდა
ნატეხებმა სასიკვდილოთ დას-
სარდაფის პატრონი ტამირო-
წლის გადმოყრილი ტამირო-
საავადმყოფოში წაიყვანეს სადაც
გარდაიცვალა. გასაკვირველი ის არის
რომ სამ ადლზე მჯდომი და ძმასთან
მყოფი პატარა ბავშვი სრულე-
ბით უვნებლად გადარჩა.

— როგორც გირუსიდან იტ-
ყობინებიან 6 ივლისს მოუკლავთ
განთქმული ყაჩაღი თავისი 6 თანა-
მოაზრეებით მალი-ბეგლინეც-ნაკი,
რომლებიც სოფელს ხანაცახს დას-
ხმიან თავს.

— 6 ივლის კრება ჰქონდათ მე-
ღვინეებს და მიკიტნებს რომელთაც
მუშების გაფიცვის საკითხი უნდა
გადაჭრიათ კრებამ გადასწყვიტა სა-
ქმის მოწესრიგება მიენდოს 40 კ.
რომლებშიაც შევლ ან მუშათა წა-
რმომადგენელიც და საქმეს მოარი-
გებენ.

— გუშინ საღამოს 10 საათზე
არტისტულ საზოგადოების წინ იფე-
თქა პეტარდამ. ხალხი ხმაზე ძლიერ
დაფრთხა. მალე გამოირკვა, რომ
უბრალო პეტარდა იყო და ხალხიც
დამშვიდდა.

— 6 ივლის შემდგარმა, საგანგე-
ბო საბჭოს კრებამ მოისმინა მოხ-
სენება გამგეობის უსაქმოთ დარჩე-
ნილ მუშასა და ინტელიგენტთა მო-
თხოვნილებაზე, საბჭომ გადასწყვიტა
დაავიროს ქალაქის შენობანი და
უსაქმოთ დარჩენილებს მიეცეთ საქ-
მე. აგრეთვე საბჭომ მიიღო მხედვე-
ლობაში ქალაქის გამგეობის მოხ-
სენება ინტელიგენტთა სამუშაოს,
სახელდობრ სანიტარულათ ქალაქის
აწერისათვის და საერთო გადასაწე-
რათ, მიემატოს 10,000 მ. და შემო-
ღებულ იქნას დღიური ხელფასი,
საბჭომ ეს მოხსენებაც დამტკიცა.

— როგორც შევიტყეთ, ქუთაი-
სის საპყრობილეში გამოუცხადებიათ
შიმშილი მიზეზი ისა ყოფილა რომ
ერთი პატიმარი სახელდობრ, ჩხი-
კვიშვილი ბენიამინე გადაუყვანიათ
სამხედრო გაუპტვახტში. ჩხიკვი-
შვილს პატიმართა შორის პროპო-
განდა.

— ქუთაისიდან გვატყობინებენ,
რომ პლატონ კოხრეიძის ბინაზე
მისულან შეიარაღებული კაცები და
მოუთხოვიათ ფული წაუღიათ მა-
შინ 20 მანეთი და თან გაუფხილე-
ბიათ კოხრეიძე, რომ კვირასათვის
მოემზადებისო 200 მანეთი კვირას
მართლაც მისულან, მაგრამ პოლი-
ციას დაუბატიმრებია. ისინი აღმო-
ჩნდნენ პორფილე და ალექსანდრე
ნიკობაძეები.

— თფილისის გენ. გუბერნატორის
ბრძანებით გუშინწინ დაიკეტა სახა-
ლხო გაზეთი „გლეხი“ სტამბის ინსპე-
ქტორმა „იდიალის“ სტამბაში, სა-
დაც „გლეხი“ იბეჭდებოდა, მხო-
ლოდ ოთხი ცალი დააპატიმრა. და-
ნარჩენი, რამდენიმე ათასი ცალი
უკვე გაიყიდა.

— ორიოდე კვირის შემდეგ
თფილისში გამოვა ახალი სახალხო
გაზეთი „მიწა“ მ. ტატიშვილის
რედაქტორობით.

— ნ. ასათიანმა ითხოვა ნება-
რთვა ყოველ კვირეული სახალხო
გაზეთის „გუთანის“ გამოცემაზე.

## რ უ ს ე თ ი

ბარონ ნოლდეს 30 ივნისს პე-
ტერბურგში ხელმწიფისათვის წარუ-
დგენია დაწვრილებითი მოხსენება
კავკასიის შესახებ. ამ მოხსენების
შემდეგ, როგორც „რუს. ვედ“
შეუტყვია, ნამესტნიკისათვის წინა-
დადება მიუციათ, წარადგინოს და-
წვრილებითი განმარტება გენე-
რალ — გუბერნატორების ტიმო-
ფეევისა და გოლოშჩაპოვისა მოქმე-
დების შესახებ.

—

როგორც ატყობინებენ „ნაშა
ჟიზნ“-ს „რუსეთის სატელეგრაფო
სააგენტო სპობს თავის მოქმედებას.
ერთი უმთავრესი პირი ხუთშა-
ბათს იყო შინაგან საქმეთა მინი-
სტრ სტოლიპინთან. ვიზიტის შემ-
დეგ სააგენტოს მსახურებმა შეი-
ტყეს, რომ ამ ახლო მომავალში
მოისპობა სააგენტოვო.

—

18 ივნის კოლკოვის მაზრაში,
ხარკოვის გუბერნიაში, მოხდა არე-
ულობა, ხარინტენკოს, იანონტოვის
და ალექსეევის ეკონომიებში. მო-
უხდათ ჩხუბი ადგილობრივ მუშებს
და მოსულთა შორის. არიან და
ჭრილნი დანებით. გამოწვეულია
ჯარი. (ნაშა ჟიზნ).

—

ნიჟნი ნოვგოროდში იარმუკობას
მოელოდებიან გრინგმუტს, შარა-
პოვს და პრივატ-დოცენტ ნიკოლ-
სკის. ეხლა ძალიან დაიწყეს შავრაზ-
მელებმა სიარული რუსეთში, მაგა-
ლითად გრინგმუტი ამ დღეებში
ბრძანდებოდა ივანოვო ვოზნესენს-
კში. („ნ ლ.)

—

კოვნის გუბერნატორმა მოახსენა
გენ.-გუბერნატორს, რომ გრაფ შე-
რემეტიევის მამულში, გლეხებმა
მოხნეს მიწები და მოთიბეს თივა.
(„რუს. სლოვო“).

—

კიევში გენერალ მარტსონმა გასცა
ბრძანება, რომ სალდათებს აღეკრ-
ძალოთ შემდეგი გაზეთის კითხვა:
„კიევსკაია ზარია“, ამ გაზეთის მკი-
თხველი ერთი სალდათი ხუთი
დღით იყო დაპატიმრებული; სალ-
დადათებს ლაგერში მოსდით სამი
შავრაზმელების გამოცემანი: „ვეჩე“,
„გოლოს პრავდი“ და „რუსსკოე
ზნამია“.

—

ვარშავის საპყრობილიდან ცნო-
ბილი ჩვეინ კი რომ მიუდიოდათ,
იმ დროს რამდენიმე შეიარაღებუ-
ლი კაცი თავს დაეცა კანვოის და
გაანთავისუფლეს პატიმარი.

—

ვარშაველ პოლიციელების გაქ-
ცევა გრძელდება, ახლები კი, საუ-
ბედუროდ პოლიციისა, არსადან
მოდიან.

—

ადმინისტრაციამ მიიღო ცნობა,
რომ ამ დღეებში მოსალოდნელია
ფარმაცევტების გაფიცვა.

გრადონაჩალნიკმა „განკარგულე-
ბა მოახდინა“, რომ როგორმე არ
მოხდეს ეს გაფიცვა.

—

მოსკოვის კორესპონდენტი გაზ.
„Arbeitev Seilung“-ისა სარწმუნ
წყაროებიდან იუწყება, რომ მოსკო-
ვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ,
მოსკოვის დაცვის განმტკიცებისათვის
ხარჯების დასაფარავად გადასდო
400, 000 მანეთი.

—

საკვირველი არჩევნები მოხდა ვე-
რეისკის მაზრაში. ირჩევდნენ ხმოს-
ნებს, სამაზრო ერობისათვის და არ-
ჩეულები აღმოჩნდენ 7 წევრი შლი-
აპკეს ოჯახიდგან. ერთი შლიაპკეთა-
განი არის მაზრის თავად აზნაურო-
ბის წინამძღოლი. („ეხო“)

მოსკოვში გუშინ იყო გაფიცვა,
და ძნელად მოიძებნებოდა შავი პუ-
რიც კი. (ეხო)

—

30 ივნის ყველა ფლოტის ეკიპა-
ჟის მატროსებმა ერთხმად უარი გა-
ნაცხადეს ადმირალ ჩუხნინის პანაშ-
ვიდის დასწრებაზე. (მისლ)

—

მოსკოვში არსებული კავშირი
რევოლუციის საწინააღმდეგო, აარ-
სებს სხვა და სხვა რაიონებში აქ-
ტიურ მებრძოლ ჯგუფებს. პირვე-
ლად ყოვლისა ამ ჯგუფისაგან იქნე-
ბა მოკრეფული შემოწირულებანი
ფულებისა.

—

მოსკოვის არტილერიის საწყობის
სალდათებს შორის დიდი მღელვა-
რებაა. მიზეზი უკმაყოფილებისა ის
არის, რომ სალდათებს დაუნიშნეს
ღამის სროლის სწავლება ხოდინკე-
ზე, მას შემდეგ, რაც მათ იმუშავეს
მთელი დღე, რომლის დროს გადა
ჰქონდათ ვინტოვკებით სავსე მძიმე
ყუთები.

—

გაზეთების სიტყვით, განზრახუ-
ლია გამოაცხადონ საალყო წესები
ვარშავასა და თბილისში.

—

ამ ბოლო დროს სოც.-რევოლიუ-
ციონერთა ორგანიზაციის მუშაობა
პეტერბურგში ძლიერ გაფართოვდა
და ეს გაფართოება პროფესიონა-
ლურ კავშირების დაარსებით გამო-
იხატა. პარტიამ მოაწყო მრავალი
კავშირი, კიდევ აარსებენ ახალს.
გარდა ამისა პარტიის ორგანიზაცი-
ას კლუბი აქვს გამართული, სადაც
კითხულობენ ლექციებს პროფესი-
ონალურ მოძრაობისა და ამ მოძრა-
ობის თანამედროვე მდგომარეობას-
თან დამოკიდებულების შესახებ. ახ-
ლო მომავალში ამ კავშირების გა-
ერთიანებას მოელიან.

## უცხოეთი.

„Zeit“-ის კორესპონდენტი იუ-
წყება ათინიდგან, რომ მას უსაუ-
ბრია საბერძნეთის მინისტრ — პრე-
ზიდენტთან სუკუზევთან, რომელ-
მაც უთხრა რომ საბერძნეთის მთა-
ვრობამ, რომ მაკედონიის საზღვა-

სი საზიზღრობებით უდრო და უფ-
რო უმჯობესდება და ჰყვავა.

რამოდენიმედ უფრო და უფრო
რევოლიუციონური მთავრობა ეწ-
ყობოდა, იმდენად უფრო გულ-
წრფელი კაცები, თავგამოდებული,
მხურვალე დამცველები რესპუბლი-
კის იძულებული იყვნენ ეცნოთ
რომ გმირი ხალხი იტანჯებოდა იმა-
ვე გაჭირვებით, როგორც რევო-
ლიუციის წინ. ხალხმაც არ დაიგვი-
ანა და გამოარკვია, რომ მან დაიპ-
ყრო თავისთვის სიმშილით სიკვდი-
ლის თავისუფლება, უმემკვიდროთა
თანასწორობა, ძმობა სამხედრო ავა-
ზაკთა. ამნაირად ხალხი წყნარათ
იყო, როდესაც ის მოიხმეს დამხმა-
რედ კონვენტის უკანასკნელ იაკო-
ბინელებმა რეაქციის წინააღმდეგ პა-
რიზის ის ხალხი რომელიც გმირობდა,
მაშინ როდესაც სწამდა, რომ რესპუბ-
ლიკა, ეს ძვირფასი მარიანნა განახორ-
ციელდება მის მისწრაფებას სოცია-
ლური სამართლიანობისას, აღარ
ინძრეოდა. რესპუბლიკელთა შორის
ისეთნი, რომლებიც ხალხის ინტერე-
სებს იცავდენ, როგორც გებერტი
და მისი მეგობრები, გილიოტინის
წილად გახადეს იმავე კაცებმა, რო-
მლებიც ეხლა ხალხს რესპუბლიკის
დასაცავად მოუწოდებდენ. ძლიერ
გვიან იყო ..

აი სწორედ ამ დროს და ეკონო-
მიური რეფორმების იმედების სრულ
დანგრევის გავლენით იყო, რომ
ბაბეფმა, დარტემ, ბუონაროტიმ და
სხვებმა წარმოიდგინეს საჭიროება,
მეორე რევოლიუციის, რომელიც
ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებების
განხორციელებაზე ყოფილიყო და-
მყარებული. როდესაც იმათ და-
სვეს კითხვა რესპუბლიკის დროს
ხალხის გაჭირვებათა მიზეზების შე-
სახებ, იმ გაჭირვებისა, რომელიც
მიუხედავად დევიზისა: თავისუფლე-
ბა, თანასწორობა, მაინც არსებობ-
და, მაშინ არ დაიყოვნეს და მიაღ-
წიეს იმავე მარტივებს, რომელსაც
შემდეგ ინტერნაციონალმა, უწინ
ანაბაპტისტებმა და თანასწორობის
მომხრეებმა (legellers) ლარეს.

რზე მიღებულია ყოველივე ღონე რომ არ გადავიდნენ საბერძნეთის საზღვრებზე, მაკედონიაში მეომრეობი, ბერძნების ბნდის გასაძლიერებლად. ოთხმა ოფიცერმა, რომელთაც არ შეასრულეს ინსტრუკცია დათხოვნილი იქმნენ სამსახურიდგან.

---

# კორესპოდენცია

—

**დ. საჩხერე.** (ქიათურის შტო). საჩხერელ ზოგიერთ ქალბატონებმა (ბარიშნებმა), გაახშირეს ამ ბოლო დროს „ვეჩერები“ და „ბალები“ თავიანთ ჯიბეების სასარგებლოდ, და მასთან შემოიღეს, მოწვეული სტუმრების „ვეჩერში“ უკან გამობრუნება და სტოლზედ იმათი დაჯდომა და ქეიფი. (უკაცრავათ სტუმრებთან 1 მ. 50 კ. კარგ ვახშამს მიირთმევდით და იქ კეჩეოში არც სტოლზედ ჩამოგაჯინეს?). მყვლეფელებმა საჩხერეშიაც იჩინეს თავი ამ ნაირ ვეჩერებით. ამასთან სირცხვილი იმ სტუმრე საც რომლებიც მაგნაირ უშინაარსო ვეჩერებში დანავარდობენ და დროს ატარებენ. მაგრამ მასპინძლებიც გვარიანად დახვდნენ. მე კი უმჯობესად მიმაჩნია ამხანაგებო! თუ კი „ვეჩერებს“ და “ბალებს“ გამართავთ ხოლმე, მოახმაროთ დღევანდელ ცხოვრების საჭიროებას და არა თავიანთი ჯიბების გასასქელებლად. უმჯობესი იქნება მაგნაირ ვეჩერებს ბოლო მოლოს რომელიც ყოველ უშინარსო არის და თავიანთ ჯიბებისკენ მიითრევენ ხოლმე, ერთს არ გაახსენდება საზოგადო საქმისთვისაც იზრუნონ მაგნაირი „ვეჩერები’ და“ „ბალების“ საშუვალებით. ნუ თუ? სიტი სიპატიოსნე არ იქნება რომ ვეჩერები და ბალები დადგან საზოგადო საქმეების სასარგებლოთ?

---

**წერილი რედაქციის მიმართ.**

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით, შევაძლებიოთ პასუხი გავცეთ; შრომას 66 ნომერში მოთავსებულ ჩვ ნ წინაამდეგ ცნობებს; რომელიც მოკლებულია ყოველ ჭეშმარიტებას. სწერს ბ. კორესპონდენტი: ვითომ ჩვენ ქუთაისის გაზეთის გამყიდველნი ახლ გაზდა მუშები გავფიცულიყავით საერთოთ გაზეთების წინაამდეგ, და მოგვეთხოვოს ყველა გაზეთების ცალი სამკაპიკათ; ეგ ტყულია იგი ჩვენს წინაამდექ მომართული და მეტი არაფერი. აი მკითხველო საქმის შინაარსი: (მართალია) ჩვენ გავიფიცეთ მაგრამ ერთ გაზეთზედ „ჩერნომორ. ვესტნიკზე“ და არა სხვა გაზეთებზე. და „ჩერ. ვესტნიკზე“ რამდენით სამართლიანი იყო ჩვენი გაფიცვა იმას აგახსნით; წინათ გაზეთი „ჩერ. ვესტ“ მიზდიოდა მიხაკო ხანანიშვილს რომელზედ კაცმა სიმართლე უნდა სთქვას ჩვენ რიგიანათ გვირიგებენ გაზეთს თავის დროზედ თვითონაც ძალიან ხელს უწყობდა გაზეთების გავრცელებას; რასაც ამტკიცებს ის რომ გაზეთი გადიოდა წინათ ასორმოცდა ათი ცალი და მისი ენერგიული დახმარებით ბოლოს როცა მას ჰქონდა გაზეთი ხელთ 650 ცალს ვყიდდით, რაც შეეხება გაზეთის ფასს ხახანაშვილთან მართლაც სამ კაპეიკათ ვყიდულობდით. ბოლოს უყურებთ რომ „ჩერნ. ვესტნიკის“ რედაქციას გამოუცვლია აგენტი და ხახანაშვილის მაგიერ ისიდორე კვიცარიძემ მიიღო გაზეთი; ამის მიზეზი როგორც გამოვიკვლიეთ ასე მოხდა, რომ ბ. კვიცარიძეს მოუმატია ფასი რედაქციისთვის და ხანაშვილისთვის ჩამოურთმევია გაზეთი, კარგი და პატიოსანი, დევიწყეთ ზიდვა გაზეთის ბ. კვიცარიძიდან. ფასი კი თუ ვყიდულობდით სამ კაპეიკათ ცალს გაგვიხდა ერთბაშათ ოთხი კაპეიკი, მაგრამ ჩვენ ამაზე არაფერი გვითქვამს რა მანამდისინ ეს დავინახეთ თვით „ჩერ.ვესტ.“ რედაქციის მხრით უსამართლობა; უყურებთ რომ გაზეთ. „ჩერ. ვესტ.“ ჩვენვყიდულობთ აქ ქუთაისში ცალს ოთხ კაპეიკათ და სამტრედიაში და სხვა აროვინლებზე ამხანაგები ყიდულობენ გაზეთს ცალს სამკაპეიკათ, აი ჩვენ მაშინ მოვაგროვეთ (და გავიფიცეთ კიდეც) გაზ. ჩერ. ვესტ. მოგვცეს ისე როგორც იმას ყიდულობს ამხანაგები სხვ და სხვ პროვინციებში აქთო. რამდენათ უსამართლოა მკითხველო ეს მოთხოვნილება?

და ჩვენ ისეთ მოთხოვნილებაზე ბ. კვიცარიძემ მეტის-მეტათ სიბრაზით აღიარეთ სხვა ქართული და რუსული გაზეთები მოგვეცა გასასყიდათ, ასეთ პლანების შედგენაში ხელს უწყობდა ბ. უკუდო სოციალისტ. დათიკო ღულაძე რომელმაც დეიჭირა გაფიცულები და სცემთ, როგორ თუ გაბედე გაფიცვავო, ამ ვაჟბატონს რომ ჰკითხოთ ნამდვილი ახალი ჯიშის სოციალისტია. ამასთანავე სწერს ბ. კორესპონდენტი, რომ დღეში თითოს მანეთი და მანეთ ნახევარი რჩებათო და მეტი რაუნდათო“.

მკითხველო გარწმუნებთ რომ ნახევარ ჯერ (ფეხების გამო) ფეხის თითები გვიჩინა და წუღა ვერ გვიყიდია, განა დღეში რომ მანეთ ნახევარი გვრჩებოდეს მაშინ ამდენ ამხანაგებს შამოვიერთებდით? ის კი დავიწყებია ბ. კორესპოდენტს რომ მის ლიპიან მუცელს დღეში ხუთი მანეთი არ ყოფნის და ჩვენს ჯიბის ანგარიშებს შესდგომია.

ამასთანავე ამხანაგო რედაქტორო ჩვენ გაზეთის გამყიდველებს ძრიელ გვაღელვებს ლამპრის თქვენდამიერ მიმართული პროტესტები, გაზეთ მუშის სახელი გამოუცვალეთო, ჩვენ თვით მუშებში მიგვაქვს ნამდვილ ქარხნის მუშებში და სხვა მუშებშიაც თქვენი გაზეთი „მუშა“ და ისინი სიხარულით ეგებებიან გაზეთ მუშას, და გვავალებენ კიდეც რომ გაზეთი მუშა გამოვიდეს თვისივე სახელით. ჩვენ გვაკვირვებს მეტად ეს მოვლენა, ჩვენის მხრით ვუსურვებთ გაზეთ მუშის და მით დიდებულ თანამშრომელებს წინ სვლას და მოწინააღმდეგეებს უცხადებთ პროტესტს.

ჩვენ კარგათ ვიცით რომ ანარქისტები არიან ერთად ერთი საუკეთესო მებრძოლნი დიდებულ თავისუფლებისათვის და მომავალ ბედნიერობისათვის.

სალამი დიდებულო მებრძოლნო!

ამხანაგების მინდობილობით რაცხვით თუთხმეტი კაცისგან ხელს ვაწერ უშანგი ტეებურაშვ.

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ალაგი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ჩემ შემდეგ განცხადებას: ყველა ის მოთხოვნილებანი, რომელიც არის მოთავსებული გაზეთ „სიმართლის“ პირველ ნომერში, მე ჩემ მუშებს სავსებით დაუთმე.

ფირმა კახეთის მეკვენახეთა „ძმობა“
თ. ნ. ა ვაჩნაძე.

—

ბ ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ვაუწყო „გლეხის“ ხელისმომწერთა და მკითხველთ, რომ ამ ცოტა ხანში ისინი, ასე თუ ისე დაკმაყოფილებული იქნებიან.

„გლეხის“ რედაქტორ გამომცემელი მ. ადამაშვილი.

---

# დეპეშები

(რუსეთის სატელეგრ. სააგენ).

—

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრს აზრად აქვს აღძრას შუამდგომლობა, რომ სამინდვრო მუშაობის შემდეგ, მოხსნას სამხედრო წესები.

**ბერნი.** შვეიცარიის კავშირის სასამართლომ დაადგინა გადასცეს რუსეთს ბელენცოვი, მთავარი დამნაშავე მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების გაძარცვისა, იმ პირობით, რომ იგი არ დაისჯება როგორც პოლიტიკური დამნაშავე.

**ეკატერინოსლავი.** გაფიცვა იაკოვლევის სტამბაში და მოდუარდის ქარხანაში შეწყდა სტამბაში შემოღებულ იქმნა 8 საათ-ს სამუშაო დღე, ქარხანაში კი მიღებულ იქ ნა დათხოვნილი მუშები.

**იაროსლავლი.** დაიწვა საზაფხულო თეატრი. დაიჭირეს ურიადნიკი კაპრიონი, რომელმაც რევოლვერი ესროლა ბოქაულ კაზანსკის სოფ. შოპნაში, იაროსლავის გუბ.

**პროსკუროვი** დემიდოვ კოლინიჩის მამულში გლეხების გაფიცვის გამოსტრაჟნიკები ჰკლავენ გლეხებს

**ოდესსა.** ბრბომ, მოითხოვა ... სალთა განთავისუფლება, რომელმაც გამოიწვია უწესოება. დაჭრილია ერთი ქალი.

**მოსკოვი** სალამოთი არლოვის ქალაზე მოხდა მიტინგი. პოლიცია ამ წინადადება მისცა დაფანტულიყვნენ, მაგრამ მაგივრათ ჟუმბარი უპასუხეს პოლიციას, დაჭრილია პრისტავი სტეფანოვი.

**პეტერბურგი** „ნოვოე ვრემია“ იტყობინება რომ კადეტთა ლიდერები თაიბირმა გადასწყვიტა შემდეგი პირები მინისტრებად პრემიერად მილიუკოვი, შინაგან საქმეთა კოკოშკინი, იუსტიციის ნაბოკოვი, სახალხო განათლებისა მანუილოვი და ფინანსთა კუტლერი.

**პირატინი.** მოქალაქე იუფიტ პოლიციამ უპოვა პატრონები მასალები, გექტოგრაფი. დაიჭირა ოთხი კაცი 17—19 წლამდინ,

**როსტოვი-დონზე.** გუშინ რა... დეეცნენ მოხელეებს სახელმწიფო ბანკისას, 266,000 მანეთიდგან მოიტაცეს 11,000 მანეთი. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ გნილოვსკის სტანციაში, ვაგზლის ახლოს დაავდეს პარკი 100,000 მან. როგორც ფიქრობენ, ბოროტ-მოქმედნი უნდა ყოფილიყვნენ ოთხნი. მძიმეთაა დაჭრილი მოხელე ვინკლერი და მოანგარიშე ტუროვი.

---

რედაქტორ გამომცემელი

მიხეილ დიასამიძე

---

# განცხადებანი.

—

**ვთხოვთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში ფულიყოველ შაბათობით გვიგზავნონ თუ სურთ, რომ შემდეგისთვისაც მიიღონ გაზეთი.**

---

# ადრესის გამოცვლა

ჩვენი აგენტებისა, მკითხველებისა და ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ამ დღიდან ადმინისტრაცია „ნობათისა“ გადადის გაზეთ „მუშის“ ადმინისტრაციის ხელში. ამისათვის ყოველგვარი წერილები და ფული იქვე უნდა იქნას მიმართული. ჩვენ აგენტებსა ვსთხოვთ ანგარიში „მუშის“ ადმინისტრაციას გაუწიოს. ყოველ წერილზე და აგრეთვე ფულიან კონვერტებზე, თუ თუ ფულის გამოგზავნის უწყებებზე მკაფიოდ უნდა იქმნას აღნიშნული: „ნობათისათვის“

**„მუშის“ რედაქციის, რომელიც ამიერიდან „ნობათის“ ადრესიცაა.**

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგი“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა,